

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი

ეროვნული კომისიის

დადგენილება №4
2019 წლის 31 იანვარი

ქ. თბილისი

„ბუნებრივი გაზის ტარიფების შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (სემეკ) 2005 წლის 30 დეკემბრის №30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის, „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-5 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-5 მუხლის პირველი პუნქტისა და 42-ე მუხლის საფუძველზე, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია ადგენს:

მუხლი 1

„ბუნებრივი გაზის ტარიფების შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (სემეკ) 2005 წლის 30 დეკემბრის №30 დადგენილების (სსმ III, №2, 09.01.2006წ., სარეგისტრაციო კოდი 300.320.000.16.009.007.995) მე-4 მუხლში მოცემული ცხრილის 32-ე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

”

| | | | | |
|----|-----------------|--------|--------|--------|
| 32 | შპს „არზუ გაზი“ | 28.430 | 16.625 | 46.925 |
|----|-----------------|--------|--------|--------|

“

მუხლი 2

შპს „არზუ გაზის“ ბუნებრივი გაზის მიწოდების ტარიფში ფასნამატის ოდენობა შეადგენს 0,5 თეთრი/კუბური მეტრი.

მუხლი 3

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე, მისი მოქმედება გავრცელდეს 2019 წლის 1 იანვრიდან წარმომოხილ ურთიერთობებზე და მოქმედებს 2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

საქართველოს ენერგეტიკისა და
წყალმომარაგების მარეგულირებელი
ეროვნული კომისიის თავმჯდომარის
მოვალეობის შემსრულებელი
კომისიის წევრი
კომისიის წევრი
კომისიის წევრი

გოჩა შონია

გიორგი ფანგანი
მაია მელიქიძე
დავით ნარმანია

